დადგენილება 37/2020 სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში ახალი კორონავირუსის (COVID-19) **გავრცელების თავიდან აცილების მიზნით და პანდემიით გამოწვეული შედეგების გათვალსიწინებით საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების წესისა და პროცედურების დამტკიცების თაობაზე**

დადგენილება №37/2020

16 ივნისი 2020

დადგენილება 37/2020 სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით და პანდემიით გამოწვეული შედეგების გათვალსიწინებით საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების წესისა და პროცედურების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, 63–ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „წ“ ქვეპუნქტის, კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 16 ივნისის N21 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით და პანდემიით გამოწვეული შედეგების გათვალსიწინებით [საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების წესი და პროცედურები.]
2. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებგვერდზე www.tsc.edu.ge
3. დადგენილება დაეგზავნოს კონსერვატორიის ყველა სტრუქტურულ ერთეულს
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).
5. დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე.

ნანა შარიქაძე, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე